

მანანა ბოჭორიშვილი

## აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია და პედაგოგიკა

მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებში ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ ადამიანის ქცევისა და მოტივაციის ასახსნელად შექმნა მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელი და მოტივაციის იერარქიის თეორია.

მასლოუს მიაჩნდა, რომ ადამიანის პიროვნება თვითრეალიზაციისა და ზრდისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამოხატულებას წარმოადგენს. მისი აზრით, თვითრეალიზაციის ტენდენცია არა მხოლოდ ადამიანური უნარია, არამედ ადამიანური მოთხოვნილებაც. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მასლოუმ მოთხოვნილებათა იერარქიის მწვერვალზე მოათავსა.

### მასლოუს თეორიის მიხედვით, რა განსაზღვრავს ქცევას?

მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევას მოთხოვნილება განსაზღვრავს. ფსიქოლოგი განასხვავებს თანდაყოლილ (ბიოლოგიურ) და შეძენილ (სოციალურ და პიროვნულ) მოთხოვნილებებს.

### როგორია მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელი?

მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანს აქვს ხუთი ძირითადი მოთხოვნილება და მათ იერარქიული თანამიმდევრობით იკმაყოფილებს.

ადამიანს გადარჩენისთვის უწინარესად ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სჭირდება (ამრიგად, ფიზიოლოგიურია მოთხოვნილება, რომელიც ფიზიკურ გადარჩენასთან არის დაკავშირებული - საკვები, წყალი, ჟანგბადი, თავშესაფარი, ძილი, სითბო). ამის შემდეგ მას უჩნდება უსაფრთხოების მოთხოვნილება. როცა უსაფრთხოების მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებულია, ადამიანს მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება უჩნდება. ესაა მოთხოვნილება, გიყვარდეს და უყვარდე, ეკუთვნოდე და მიგიღონ ჯგუფის წევრად; მოთხოვნილება, თავი აარიდო მარტოობასა და გარიყვას. მომდევნოა დაფასების მოთხოვნილება; მოთხოვნილება, მოგწონდეს საკუთარი თავი (გქონდეს დადებითი თვითშეფასება); სხვების მიერ აღიარების, პატივისცემისა და მოწონების, წარმატების, კომპეტენტურობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება. ამას მოსდევს თვითრეალიზების ანუ საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრული რეალიზების მოთხოვნილება.



ყოველი საფეხურის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ აქტუალური ხდება მომდევნო საფეხურის მოთხოვნილება, ანუ ადამიანს მაღალი დონის მოთხოვნილებები უჩნდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული აქვს დაბალი დონის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობისთვის საჭირო მოთხოვნილებები.

**თვითაქტუალიზაციის** დონე, სხვა დონეებისგან განსხვავებით, დანაკლისის შევსებისკენ კი არ არის მიმართული, არამედ პიროვნების განვითარებისა და მისი შესაძლებლობების რეალიზაციისკენ.

შესაძლოა თუ არა, ადამიანის ქცევას წარმართავდეს ზედა საფეხურის მოთხოვნილება, როდესაც ქვედა საფეხურის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია?

მიუხედავად მასლოუს მოდელის იერარქიულობისა, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანის ქცევას წარმართავს ზედა საფეხურის მოთხოვნილება, თუმცა ქვედა საფეხურის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ არის.

შესაძლოა თუ არა, გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას სხვადასხვა მოტივაცია ედოს საფუძვლად?

ადამიანის ქცევა რთული ფენომენია. გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას შესაძლოა სხვადასხვა მოტივაცია ედოს საფუძვლად. მაგალითად, მოსწავლის ქცევა, კარგად სწავლა, შესაძლოა სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ზოგისთვის კარგად სწავლის მოტივია დასჯის შიში, ზოგისთვის - ინტერესი, ზოგისთვის კი აღიარების მოთხოვნილება.

რა ლოგიკური კავშირი არსებობს მოტივაციასა და მასლოუს იერარქიულ მოდელს შორის?

მოტივაციის ფსიქოლოგიაში განასხვავებენ **გარეგან** და **შინაგან** მოტივაციას. მასლოუს იერარქიულ მოდელში გარეგანი სტიმულები (გარეგანი მოტივაცია) ქცევას აღძრავს პირველი ორი – ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების - მოთხოვნილების დონეზე, დანარჩენ სამ დონეზე კი მას შინაგანი სტიმულები (შინაგანი მოტივაცია) უდევს საფუძვლად.

**მასლოუს მიხედვით, რაზეა დამოკიდებული სწავლება და რა შეიძლება აღძრავდეს სწავლის მოთხოვნილებას?**

ეფექტური სწავლება მოსწავლის მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილება შესაძლოა სხვადასხვა დონის მოტივაციამ აღძრას. ეს დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებაზეც. დაწყებით კლასებში მოსწავლისთვის მეტად მნიშვნელოვანია ჯერ უსაფრთხოების, მერე კი მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო მოზარდებისთვის წამყვანი უკვე თვითპატივისცემის მოთხოვნილება ხდება. დაწყებით კლასებში ბავშვის ეფექტური სწავლებისთვის მეტად მნიშვნელოვანია სტაბილურობა, წესრიგი და ა. შ. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა. **როდესაც მოსწავლე თავს იზოლირებულად ან გარიყულად გრძნობს, იმის ათვისებასაც კი ვერ ახერხებს, რისიც შეუძლია.** ამ დონეზე ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმის განცდა, რომ ის ჯგუფის სრულფასოვანი წევრია. ამის საფუძველზე ყალიბდება თვითპატივისცემის მოთხოვნილება, მიღწევაზე ორიენტაცია, ჯგუფში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და სტატუსზე ზრუნვა.


**რის საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებელს მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა?**

1. მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებელს, დაადგინოს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე, განსაზღვროს, რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, ამის შედეგად შეიმუშაოს სწავლის ადეკვატური სტრატეგიები და უზრუნველყოს სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობა.
2. რაც უფრო მეტად იკმაყოფილებს მოსწავლე სამყაროს შეცნობის მოთხოვნილებას, მით მეტი ცოდნის შექმნა სურს. ამგვარად, თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა ადამიანისთვის მოტივაციის ძლიერი წყაროა: **მოწაფეები თვითრეალიზაციისკენ იმიტომ ისწრაფიან, რომ ეს სიაზონებას ანიჭებთ, აკმაყოფილებს მათი ცოდნის შექმნისა და ზრდის მოთხოვნილებას.**
3. მოსწავლე, რომელმაც შეძლო თვითრეალიზაცია, შემდეგი თვისებები ახასიათებს: უფრო სპონტანურია, გულდია, გულგამილილი და დამოუკიდებელი; გამოირჩევა შემოქმედებითი უნარით და იუმორის გრძნობით; მოსწონს და უფრო კეთილად არის განწყობილი როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა ადამიანების მიმართ. ასეთ მოსწავლეებს შედარებით ძლიერი და დემოკრატიული ურთიერთობები აქვთ. მასლოუმ თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მოთხოვნილებათა იერარქიის მწვერვალზე მოათავსა. მისი აზრით, ამ მნიშვნელოვანი მოთხოვნილების მიღწევა მხოლოდ ყველა დანარჩენი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ არის შესაძლებელი.

4. მასლოუ აღნიშნავს, რომ თვითრეალიზაცია მეტისმეტად რთული ამოცანაა. მისი ვარაუდით, მას ზრდასრული ადამიანების მხოლოდ ერთი პროცენტი აღწევს. ნაკლებსავარაუდოა, მოსწავლეები დიდი ინტერესით მოეკიდონ სწავლას, თუ დაკმაყოფილებული არ იქნა მათი ძირითადი მოთხოვნილებები - ისეთი, როგორც არის ნორმალური კვება, უსაფრთხო საკლასო გარემო და მასწავლებლისა და თანაკლასელების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ცხადია, მოსწავლეებს, რომლებსაც ძალიან შიათ ან ფიზიკური საფრთხის წინაშე დგანან, არასაკმარისი ფსიქოლოგიური ენერგია ექნებათ სწავლისთვის.

5. მოსწავლისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სიყვარულისა და დაფასების მოთხოვნილება. მოსწავლეს, რომელიც ვერ გრძნობს გარშემო მყოფთა სიყვარულსა და პატივისცემას და რომელსაც არ სჯერა, რომ ის უნართა და ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა, არ ექნება თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა; არ ექნება ცოდნის შეძენის, სამყაროს შეცნობის მოტივაცია, ვერ იქნება შემოქმედებითი (კრეატიული), ახალი იდეების მიმართ გახსნილი.

მოზარდის თვითშეფასება-თვითეფექტურობის ამაღლებაში მრავალი საგულისხმო ფაქტორი ასრულებს როლს.



მოზარდის წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი თვითშეფასებაა - როდესაც მოსწავლე თავს ვერ ართმევს სასწავლო პროცესს, თვითშეფასება და თვითპატივისცემა უქვეითდება, რაც ზრდის მის აგრესიას და დევიანტური ქცევის ალბათობას.

მოსწავლე, რომელსაც არ სჯერა, რომ სიყვარულის ღირსია, ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომლებიც ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული: ისე მოქმედებს, როგორც მათ გარშემო მყოფთა უმრავლესობა; გამოცდებისთვის მომზადების დროს არ არის დაინტერესებული ახალი ცნებებისა და იდეების შესწავლით; წერს თხზულებებს, რომლებიც არ გამოირჩევა ორიგინალურობით და ა.შ.

**მასწავლებელს,** რომელსაც შესწევს უნარი, მოსწავლეებს თავი კარგად და თავისუფლად აგრძნობინოს, რომელიც მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობასა და პატივისცემას იჩენს, ძალუმს გაუღვიძოს მათ სწავლის სურვილი. იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, აუცილებელია სჯეროდეთ, რომ მასწავლებელი მათ სამართლიანად მოექცევა, არ დასცინებს და არ დასჯის უნებლიე შეცდომებისთვის. **სწავლა მნიშვნელოვანი ხდება.**